Summer Science Academy 2014

საზაფხულო სამეცნიერო აკადემია 2014

ზოგადი ინფორმაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და თსუ „საბავშვო უნივერსიტეტი“ „საზაფხულო სამეცნიერო აკადემიას“ ატარებს, რომელიც 2014 წლის 30 ივნისიდან - 5 ივლისამდე გაიმართება. აკადემიაში 7–12 კლასების მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.

მიზანი: საზაფხულო სამეცნიერო აკადემია ემსახურება მიზანს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტერდისციპლინური, ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტები; ადრეულ ასაკში შეუწყოს ხელი მოსწავლეთა სამომავლო ინტერესების გაღვივებას და პრობლემების გადამწყვეტი, შედეგზე ორიენტირებული, სხარტი თაობის მოზიდვას უნივერსიტეტში.

პროგრამა: აკადემიის ფარგლებში სემინარ/მოხსენებებს მეცნიერები და სტუდენტები წარმართავენ. მოსწავლეთა ჯგუფებს შორის მოხდება ზოგიერთი აქტუალური საკითხის განხილვა, რაც დისკუსიას და გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს. დამატებით განსაზღვრულია ექსპერიმენტზე დაკვირვება, პროექტზე მუშაობა, პრობლემური ამოცანების გადაწყვეტა და სხვა. აქტიური მოსწავლეები სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან.

საზაფხულო სამეცნიერო სკოლის თარიღები: 30.06.2014– 05.07.2014

სამუშაო საათები: 9:30 – 14:00; ზოგიერთი ღონისძიების შემთხვევაში 9:00 – 16:00.

უზრუნველყოფა: მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის პროგრამით. ზოგიერთ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა შეზღუდულია და ექვემდებარება 30 ივნისს დამატებითი რეგისტრაცის გავლას.

ადგილმდებარეობა: აკადემია გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I, II და XI კორპუსებში. დეტალურ ინფორმაციას მონაწილე მოსწავლეები დამატებით მიიღებენ.

მოსწავლეთა მიღება ელექტრონული რეგისტრაციით და სააპლიკაციო საბუთებით მოხდება. ელექტრონული რეგისტრაციის გავლის შემდეგ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა და სამოტივაციო წერილი 2014 წლის 25 ივნისს მიიღება შემდეგ მისამართზე: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახური; ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ); თსუ XI კორპუსი, ოთახი 303, უნივერსიტეტის ქ. 3, თბილისი, საკონტაქტო პირი ხათუნა კახიანი.

აპლიკაციისათვის საჭირო ჩამონათვალი:

- ელექტრონული რეგისტრაცია (2014 წლის 18 ივნისიდან 25 ივნისამდე)
- შევსებული განაცხადის ფორმა (გთხოვთ წარმოადგინოთ 2014 წლის 25 ივნისს !)

საზაფხულო სამეცნიერო აკადემიაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები ელექტრონულად **2014 წლის 26 ივნისს** მიიღებენ.

მოხარული ვიქნებით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეების გამოხმაურებით !

მოსწავლის განაცხადის ფორმა 2014

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„საზაფხულო სამეცნიერო აკადემია“

“საბავშვო უნივერსიტეტი”

გთხოვთ შევსებული განაცხადის 2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით წარმოადგინოთ !

მოსწავლის სახელი და გვარი: ----------

სახლის მისამართი: ----------

ქალაქი, საფოსტო კოდი: ----------

დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): ----------

სკოლის დასახელება სადაც მოსწავლე ამჟამად სწავლობს: ----------

----

კლასი: ----------

ჩამოთვალეთ ღონიძიებები და/ან პროექტები (საზაფხულო სკოლა, კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა და ა. შ.), რომელშიც მოსწავლემ 2013–2014 აკადემიურ წელს მიიღო მონაწილეობა (ჩამოთვალეთ ჯილდოები, გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი თუ ეს საჭიროა):

ინფორმაცია მშობლების (მეურვეების) შესახებ:

მშობლის ან მეურვის სახელი და გვარი: ----------

დღის განმავლობაში საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:----------

სახლის ტელეფონის ნომერი: ----------

მობილური ტელეფონის ნომერი: ----------

ელექტრონული ფოსტა: ----------

მშობლის ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

გელითთ უნივერსიტეტში ☺